საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორდელაძე თეიმურაზ დიმიტრის ძე

გორდელაძე თეიმურაზ დიმიტრის ძე (დ. 12. VIII. 1925, თბილისი), პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972). 1948 დაამთავრა თბილ. სახელმწიფო სამედ. ინ-ტი. მუშაობდა იქვე პათოლ. ანატ. კათედრის პროფესორად (1971–78). იყო ამავე ინ-ტის სასამართლო მედ. კათედრის გამგე (1979–98), 1998-იდან არის ამ კათედრის პროფესორი, პარალელურად 1993-იდან – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტის პათოლოგიის კათედრის პროფესორი. გ-მ ექსპერიმენტულად შეისწავლა სიმსივნეებისა და მათ ირგვლივ მდებარე ქსოვილების ინერვაციის საკითხები, ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის ვირუს-პოლიომა 2510 Ву შტამით გამოწვეული სიმსივნეების პათოლ. ანატომია და სხვ. გ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიისა და 4 სახელმძღვანელოს ("სასამართლო მედიცინა": 1995, 1998, 2001, 2008) ავტორია. გ. იყო პათოლოგანატომთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბის გამგეობის წევრი (1974–80), საკავშ. სამედ. ჟურნ. "Судебная медицинская экспертиза"-ს სარედაქციო საბჭოს წევრი (1980–90) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: შუა ტვინის დაზიანებანი ქალატვინის მძიმე ტრავმის დროს, « თბილ. სახელმწ. სამედ. უნ-ტის შრომათა კრებული», 1997, ტ. 33; Гистохимия и электронная микроскопия в клинической и экспериментальной медицине, М., 1975 (თანაავტ.).